თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6150001

ნომერი: AR1922139

თარიღი : 09.09.2022

გაცემის თარიღი : 04.10.2022

გაცნობის თარიღი : 05.10.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შარტავა , N 43 , (ნაკვეთი N15/69);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე მირცხულავა პ/ნ 01024058204
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 18 ბ. 133

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 09 სექტემბრის №AR1922139 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2022 წლის 09 მარტის №5838278 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 15 სექტემბრის №6124225 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები არ იქნა შევსებული. კერძოდ, საცხოვრებელ ფართობებში კვლავ არასწორად არის ჩათვლილი კოლონებისა და საჰაერო შახტების ფართობები. აღნიშნული ფართები დათვლილ უნდა იქნას შიდა კონტურზე, კოლონების და სავენტილაციო შახტების გარეშე. განგიმარტავთ, რომ სამყოფისათვის ფართობი განისაზღვრება მის შემომსაზღვრელ კედლებს შორის არსებული იატაკის ძირითადი კონსტრუქციის ზედაპირის ფართობით, მათ შორის არსებული საყრდენი კედლებისა და კოლონების ფართობის გარეშე (ბინის ფართობში არ იანგარიშება ასევე საყრდენ კედლებში და ბინის შემომსაზღვრელ კედლებში არსებული ღიობები, ბინაში არსებული იატაკის სხვადასხვა დონეების დამაკავშირებელი შიდა კიბე და მისი ბაქანი).
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დაზუსტებულ იქნას მოთხოვნა საცხოვრებელ და საერთო ფართობებთან დაკავშირებით. ასევე, საჭიროა წარმოდგენილ იქნას სამსახურის 2022 წლის 9 მარტის №5838278 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების იდენტური (გეგმარების ცვლილების გარეშე) გეგმები, გეგმებსა და გეგმებზე გამოტანილ ექსპლიკაციებზე შესწორებული საცხოვრებელი ფართობების დატანით.
ვინაიდან სამსახურის 2022 წლის 15 სექტემბრის №6124225 ბრძანებას გაეცანით 2022 წლის 17 სექტემბერს, ხოლო განმეორებითი განცხადება წარმოადგინეთ 2022 წლის 03 ოქტომბერს, ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 19 (ცხრამეტი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 19 (ცხრამეტი) სამუშაო დღის ვადაში.
აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2022 წლის 09 სექტემბრის №AR1922139 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.